

შპს კალატოზი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

შენიშვნა

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	112831	173457	19436	3.1
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები	1309030	1009887	14832	3.2
გადახდილი ავანსები	103786	22234	481	3.3
მარაგები	6566871	4683857	3690700	
მ.შ. - შხა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	6566871	4683857	3690700	3.4
სხვა მიმდინარე აქტივები	84897	146270	51350	3.5
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
სხვა არამატერიალური აქტივები	8579	1913		3.6
ძირითადი საშუალებები	1440822	1040544	41546	3.7
სულ აქტივები	9626816	7078162	3818345	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	73712			3.8
სავაჭრო ვალდებულებები	1447775	913286	55491	3.9
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	88406	17266	5050	3.10
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	8597137	6158684	3644407	3.11
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	507655	352677		3.12
სულ ვალდებულებები	10714685	7441913	3704948	
საკუთარი კაპიტალი				3.13
კაპიტალი			135000	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1087869	-363751	-21603	
სულ საკუთარი კაპიტალი	-1087869	-363751	113397	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9626816	7078162	3818345	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი _____ ლევან ბოლქვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1886848	1177953
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1711630	-903389
სხვა	-78611	-78232
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	96607	196332
გადახდილი მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	96607	196332
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-62686	-105842
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-62686	-105842
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან		-83920
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		288000
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	-49443	
სესხის ძირის გადახდა	-13363	-108204
სესხის პროცენტის გადახდა	-31675	-32379
დივიდენდების გადახდა		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-94481	63497
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-60560	153987
სავალუტო კურსის ეფექტი	-66	34
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	173457	19436
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	112831	173457

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი _____

ლევან ზოლქვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს კალატოზი

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	422246	188	3.14
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	54597		
- მომსახურების გაწევიდან		188	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	367649		
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-398761	-48	3.14
საერთო მოგება	23485	140	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-80850	12016	3.15
დასაქმებულთა ანაზღაურება	-220999	-113007	
ცვეთა და ამორტიზაცია	-15943	-5646	
საპროცენტო ხარჯი	-31559	-32071	3.16
იჯარის ხარჯი	-53805	-19973	3.17
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-175415	-137788	3.18
სულ საოპერაციო ხარჯები	-578571	-296469	
საოპერაციო მოგება	-555086	-296329	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-114009	-35941	3.19
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	-55023	-9878	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-724118	-342148	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-724118	-342148	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-724118	-342148	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-363751	113397	3.13
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		-135000	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1087869	-363751	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი _____ ლევან ბოლქვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კალატოზი“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კალატოზი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2018 წლის 11 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445533058, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ., N7, ბინა 159. ფაქტობრივი მისამართი - ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N31. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიის 75%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ლევან ბოლქვაძე (პ/ნ 61006055319), ხოლო 25%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ნაზიბროლა ბოლქვაძე (პ/ნ 61006055318).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ ლევან ბოლქვაძე (პ/ნ 61006055319).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რეალიზაცია.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ქვიშა-ხრეშის რეალიზაცია, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N 29, 31, 33, 35.

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 42 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს, როგორც ამონაგებს და ხარჯს, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. პროცენტული შესრულების მეთოდით).

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება

მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-4 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10-15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2018-2019-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული ლარებში	112795	166171	19424
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	36	7170	12
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში		116	
სულ:	112831	173457	19436

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	109507	8056	14832
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	1199523	1001831	
სულ:	1309030	1009887	14832

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოქმნილია 2019 და 2020 წლებში რამდენიმე მიწის ნაკვეთის რეალიზაციისგან, ასევე რამდენიმე ბინის საკუთრების უფლებით რეალიზაციისგან. 2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	2933	2408	481
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	100853	19827	
სულ:	103786	22234	481

გადახდილი ავანსების ძირითადი ნაწილი შედგება კომპანიის მიერ სხვადასხვა უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) შესაძენად გადახდილი ავანსებისაგან.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
საქონელი	3572	138401	3669
ნედლეული და მასალები	166859	3961425	3685264
დაუმთავრებელი წარმოება	6388563	552883	640
შემენილი საწვავის ტალონები (ადმინისტრაცია)	785	321	1127
სამშენებლოს მასალები (ხელსაწყოები და სხვა)	1800	417	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი (სპეც ტანსაცმელი)	4586	576	
სამშენებლო ტექნიკისთვის შემენილის მასალები		29588	
სასაქონლო მატერიალური მარაგი (სამედიც. მედ.)	138		
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	568	246	
სულ:	6566871	4683857	3690700

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

კომპანიის სხვა მიმდინარე აქტივები 2020 წლის ბოლოს შედგება: სამშენებლო პროექტისაგან, რომელიც ჯერ არ გამოიყენება - 29841 ლარი; წაყენებული პრეტენზიისაგან, რომელიც შედგება სასამართლო დავის წამოწყებისთვის გაწეული ხარჯებისაგან - 15050 ლარი; საგადასახადო აქტივების და საგადასახადო ვალდებულებების სალდირებული შედეგისაგან, რომელიც ძირითადად გამოწვეულია კომპანიის მიერ მიღებული ავანსების გამო წინასწარ გადახდილი/დეკლარირებული დღგ-ისაგან - 39847 ლარი და სხვა მიმდინარე აქტივებისაგან - 159 ლარი.

3.6. არამატერიალური აქტივები:

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება ელექტროკარტოთეკისა და გაყიდვების პროგრამისაგან და კომპანიის ელექტრონულ გვერდზე (ე.წ. საიტი) გაწეული ხარჯებისაგან.

შპს „კალატოზი“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ძირითად საშუალებებისთვის შეძენილი	0	-13713	0	13713	13713	0	0
მირის ნაკვეთები	651883	0	0	651883	651883	0	0
დროებითი ნაგებობები (ცვეთა 10%) - ადმინისტრაციული	13361	14846	1485	0	0	0	0
თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები (ცვეთა 10%) -	4599	1525	458	3531	3686	155	0
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები (ცვეთა 10%) - მშენებლობისთვის	5066	2958	390	2498	2666	168	0
კაპიტალური სამუშაოების (ცვეთა 10 %) - ადმინისტრაციული	4819	2104	425	3140	3306	165	0
ძალადგანი მანქანები და მოწყობილობები	0	0	0	0	0	0	0
ლიზინგით შეძენილი ძალადგანი მანქანები და მოწყობილობები (ცვეთა 6.66% - 15 წელი) - მშენებლობისთვის	241170	35926	17173	222416	224913	2497	0
სამშენებლო მოწყობილობები (ცვეთა 3 წელი - 33.33 % - აქ არის ის მოწყობილობები, რომლების მშენებლობის ბოლოს სავარაუდოდ გაცეითილია სრულად)	265691	319474	119830	66047	68374	2326	0
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავთვის გარდა (ცვეთა 12.5%) -	8022	906	1162	8279	8571	292	0
კომპიუტერული ტექნიკა (ცვეთა 12.5%) - ადმინისტრაციული	16794	2624	2350	16520	17210	690	0
ელექტრონული მოწყობილობები (მობილურები) (ცვეთა 20%) -	10635	5319	2180	7496	7809	313	0
ელექტრონული მოწყობილობები (სარეკლამო და სხვა) (ცვეთა 12.5%) - ადმინისტრაციული	19617	19671	1434	1380	1411	31	0
ავთო (ცვეთა 12.5%) - ადმინისტრაციული	17196	0	2532	19728	20258	530	0
სარეკლამო საშუალებები (ცვეთა 20%) - ადმინისტრაციული	3460	0	978	4437	4889	452	0
მსუბუქი ავტომობილები (ცვეთა 10%)	0	0	0	0	-25617	0	25617
სხვა ავტოტრანსპორტი (ცვეთა 10%) - მშენებლობისთვის	157171	166907	9736	0	0	0	0
ლიზინგით შეძენილი ავტოტრანსპორტი (ცვეთა 10%) - მშენებლობისთვის	12830	0	1439	14269	14389	120	0
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები (ცვეთა 10%) - ადმინისტრაციული	3210	0	480	3690	0	480	4170
იჯარით აღებული ქონების კუთვლიანობა (ცვეთა 10%)	0	0	0	0	-9285	2321	11607
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები (ცვეთა 40%) - ადმინისტრაციული	4528	5611	2379	1296	1420	277	153
მცირეფასიანი საშავეულოს აქსესუარები (ცვეთა 40%) - ადმინისტრაციული	771	1089	537	219	314	94	0
სულ:	1440822	565246	164968	1040544	1009910	10912	41546

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. კომპანიას გააჩნია ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობის პროცესში, შესაბამისად ასეთი აქტივების ცვეთა აკუმულირებულია მშენებლობის თვითღირებულებაში.

3.8. სალიზინგო მიმდინარე გადასახდელები:

კომპანიას ლიზინგით აქვს შეძენილი ამწე კრანი, სატვირთო ტრანსპორტი და სამშენებლო მასალა/ინვენტარი. შესაბამისად აღნიშნული ლიზინგების მიმდინარე ვალდებულებაა - 73712 ლარი.

3.9. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	828212	620780	54991
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	566803	286770	
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	52760	5736	501
სულ:	1447775	913286	55491

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები მთლიანად შედგება მშენებლობისთვის შეძენილი სხვადასხვა აქტივებისათვის და მომსახურებებისათვის გადასახდელი თანხებისაგან. ასევე, სხვა სავაჭრო ვალდებულებები შეიცავს ფიზიკური პირებისაგან შეძენილი ერთჯერადი მომსახურებებისათვის გადასახდელ თანხებს. კომპანიის 2020 წლის ბოლოს რიცხული სავაჭრო ვალდებულებები მთლიანად შედგება რეზიდენტი პირების მიმართ არსებული ვალდებულებებისაგან.

3.10. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

კომპანიის ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ ძირითადად შედგება კომპანიის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ სახელფასო დავალიანებებისაგან და მშენებლობაზე დასაქმებული თანამშრომლების მიმართ სახელფასო დავალიანებებისაგან. აღნიშნულ დავალიანებებში ასევე შეტანილია შესაბამისი საპენსიო დარიცხული ვალდებულებებიც.

3.11. გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	16243		
მშენებლობისთვის მიღებული ავანსები	1990533	929568	
მშენებლობისთვის მიწის შესყიდვებიდან წარმოქმნილი ვალდებულება/ავანსი	5242555	5229116	3644407
გადავადებული/გამოუმუშავებელი შემოსავალი	1347806		
სულ:	8597137	6158684	3644407

კომპანიის მიღებული ავანსები ძირითადად შედგება უძრავი ქონების მშენებლობა/გაყიდვიდან მიღებული ავანსებისაგან, როგორც რეზიდენტი ისე არარეზიდენტი პირებისაგან. ასევე, ბარტერის ხელშეკრულებებით ასაშენებელი უძრავი ქონებების სანაცვლოდ საკუთრებაში მიღებული მიწების ღირებულებებისაგან. ხოლო, კომპანიის გადავადებული/გამოუმუშავებელი შემოსავალი შედგება სხვადასხვა პირებზე მშენებარე უძრავი ქონების საკუთრების უფლებით (შესაბამისი დოკუმენტაციით) გადაცემისაგან წარმოქნილი შემოსავლისაგან, რომელსაც კომპანია აღრიცხავს ე.წ. წილობრივი მეთოდით, როგორც სამშენებლო ხელშეკრულებებიდან ამონაგებს.

3.12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან	334225	165996	
გრძელვადიანი სესხები	173431	186681	
სულ:	507655	352677	0

3.13. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის კაპიტალი მისი დაფუძნების დღეს კომპანიის მაშინდელი 100% წილის მფლობელის ფ/პ მერაბ მაღაყმადის (პ/ნ 61006057563) მიერ განისაზღვრა 200000 ლარის ოდენობით, რომელიც მას შემოჰქონდა ნაწილ-ნაწილ 2018-2019 წლებში. 2018-2019 წლებშივე, ისევ მაშინდელი 100% წილის მფლობელის ფ/პ მერაბ მაღაყმადის (პ/ნ 61006057563) მიერ, მომხდარია კაპიტალის შემცირება რამდენიმე ეტაპად და 2019 წლის 8 ნოემბრისთვის კომპანიის კაპიტალი განისაზღვრა 0 (ნული) ლარით. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდებში ფ/პ მერაბ მაღაყმადის (პ/ნ 61006057563) მიერ კაპიტალში შემოტანილი თანხები გატანილ იქნა კომპანიის კაპიტალიდან მის მიერვე სრულად. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 (ნული) ლარს.

3.14. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:

კომპანიის ამონაგები შედგება სამშენებლო ხელშეკრულებებიდან წილობრივი მეთოდით დათვლილი ამონაგებისაგან და საწვავის ტალონების რეალიზაციით მიღებული

ამონაგებისაგან. სამშენებლო ხელშეკრულებების შემთხვევაში გაწეული მომსახურების ღირებულება დათვლილია წილობრივი მეთოდის საფუძველზე.

3.15. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

კომპანიის 2020 წლის სხვა საოპერაციო შემოსავალი ფაქტობრივად შედგება არაურთიერთდამოკიდებულ რეზიდენტ პირებზე კომპანიის საჭიროებებიდან გამომდინარე კომპანიის კუთვნილი მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების რეალიზაციისაგან მიღებული ზარალისაგან.

3.16. საპროცენტო ხარჯი:

კომპანიის საპროცენტო ხარჯები შედგება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისაგან აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.17. იჯარის ხარჯი:

კომპანიის საიჯარო ხარჯი ფაქტობრივად შედგება კომპანიის მიერ იჯარით აღებული საოფისე ფართის საიჯარო გადასახდელებისაგან.

3.18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

	2020 წელი	2019 წელი
რეკლამის ხარჯები	3200	100
ფეისბუქის მომსახურების ხარჯი	4758	290
მარკეტინგული ხარჯები	18372	18771
საშუამავლო მომსახურების ხარჯები	17729	32974
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	488	
სალარო აპარატებთან დაკავშირებული ხარჯები	42	42
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ	7862	37657
მიწოდების სხვა ხარჯები	300	
საიჯარო ქირა (ავტომანქანა)	7831	5250
ელექტროენერგიის ხარჯები		390
გაზი და წყალი	14	193
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	6	1222
საკანცელარიო ხარჯი	1634	1139
სამედიცინო მედიკამენტების ხარჯი	3093	1347
კომპიუტერის ხარჯები	725	1311
ინტერნეტის ხარჯი	3703	1726
კორპორატიული ნომრების ხარჯი	65	1221
კომუნიკაციის ხარჯები	1162	34
დაცვის ხარჯის საერთო ადმინისტრაციული	115	807
საწვავის ხარჯები (საერთო-	12425	7361
გაზის ხარჯი (საერთო-ადმინისტრაციული)	411	14
მთარგმნელობითი და სანოტარო ხარჯები	1887	3527
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	28475	
სატრენინგო მომსახურების ხარჯები	650	1350
საგადასახადო ხარჯები	3489	1009
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	2019	8498
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან	772	2656
საკომისიო ხარჯი (გარდა საბანკო და	2175	319
მივლინების ხარჯები (საერთო-	105	
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები		432
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	13144	5431
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო	23101	1905
წარმომადგენლობითი ხარჯები	362	135
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც	13331	677
სხვა საერთო-ადმ. ხარჯები, რომლებიც არ	1972	
სულ:	175415	137789

3.19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი:

კომპანიის არასაოპერაციო ხარჯები ფაქტობრივად შედგება ლიზინგის საფინანსო ხარჯისაგან და სალიზინგო გადასახდელების დაგვიანებისათვის დარიცხული პირგასამტეხლოებისაგან.

3.20. სასამართლო დავები:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში კომპანიას გააჩნდა მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც 1 ოქტომბრის მდგომარეობით დასრულებულია მორიგებით.

3.21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები:

2021 წლის 1 იანვრიდან 27 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები:

2018-2019-2020 წლებში, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება:

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს.

შპს კალატოზი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

შენიშვნა

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	112831	173457	19436	3.1
საგაქრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები	1309030	1009887	14832	3.2
გადახდილი ავანსები	103786	22234	481	3.3
მარაგები	6566871	4683857	3690700	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	6566871	4683857	3690700	3.4
სხვა მიმდინარე აქტივები	84897	146270	51350	3.5
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
სხვა არამატერიალური აქტივები	8579	1913		3.6
ძირითადი საშუალებები	1440822	1040544	41546	3.7
სულ აქტივები	9626816	7078162	3818345	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	73712			3.8
საგაქრო ვალდებულებები	1447775	913286	55491	3.9
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	88406	17266	5050	3.10
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	8597137	6158684	3644407	3.11
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	507655	352677		3.12
სულ ვალდებულებები	10714685	7441913	3704948	
საკუთარი კაპიტალი				3.13
კაპიტალი			135000	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1087869	-363751	-21603	
სულ საკუთარი კაპიტალი	-1087869	-363751	113397	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9626816	7078162	3818345	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი  ლევან ბოლქვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს კალატოზი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: I GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
საოპერაციო საქმიანობა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1886848	1177953
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1711630	-903389
სხვა	-78611	-78232
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	96607	196332
გადახდილი მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	96607	196332
საინვესტიციო საქმიანობა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-62686	-105842
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-62686	-105842
საფინანსო საქმიანობა:		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებად		-83920
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		288000
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯაროდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	-49443	
სესხის ძირის გადახდა	-13363	-108204
სესხის პროცენტის გადახდა	-31675	-32379
დივიდენდების გადახდა		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-94481	63497
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-60560	153987
სავალუტო კურსის ეფექტი	-66	34
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	173457	19436
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	112831	173457

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი 

ლევან ზოლქვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს კალატოზი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	96607	196332
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-62686	-105842
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-94481	63497
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-60560	153987
სავალუტო კურსის ეფექტი	-66	34
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	173457	19436
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	112831	173457

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემუნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი



ლევან ბოლქვაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

		ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
		საანგარიშგებო პერიოდი		
		2020	2019	
ნეტო ამონაგები				
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		422246	188	3.14
- მომსახურების გაწევიდან		54597		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			188	
- სხვა ამონაგები		367649		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-398761	-48	3.14
საერთო მოგება		23485	140	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-80850	12016	3.15
დასაქმებულთა ანაზღაურება		-220999	-113007	
ცვეთა და ამორტიზაცია		-15943	-5646	
საპროცენტო ხარჯი		-31559	-32071	3.16
იჯარის ხარჯი		-53805	-19973	3.17
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-175415	-137788	3.18
სულ საოპერაციო ხარჯები		-578571	-296469	
საოპერაციო მოგება		-555086	-296329	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება				
მ.შ. - ფინანსური აქტივების				
- მარაგების				
- სხვა არაფინანსური აქტივების				
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		-114009	-35941	3.19
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი		-55023	-9878	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან		-724118	-342148	
მოგების გადასახადის ხარჯი				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი		-724118	-342148	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი				
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		-724118	-342148	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-363751	113397	3.13
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			-135000	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-1087869	-363751	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი



ლევან ბოლქვაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.